ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47252023**
თარიღი:**21/07/2025**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N7

***დ. ჩოხატაური* 18 ივლისი 2025 წელი.**

სხდომის თავმჯდომარე _ ირაკლი კუჭავა.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: ზაალ მამალაძე, ჯუმბერი ბერძენიშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, ზვიადი მამალაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა.

მერაბ ხუნდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცინცაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო მომსახურების საკითხებში.

არ ესწრებოდნენ: დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, ბიძინა ცინცაძე, დიმიტრი კორიფაძე, გოგი ბოლქვაძე.

მოწვეული:

ნოდარი ჟღენტი - მერიის არქიტეკტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები

მომხრე _7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარი ჟღენტი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში

I საკითხი:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარი ჟღენტი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, რომ აღნიშნული პროექტები ფინანსდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ერთ-ერთი შუა ამაღლებაში სტადიონის მოწყობას ეხება, რომლისთვისაც გამოყოფილია 130,0 ათასი ლარი. თუ შესაძლებელია, მოხდეს პროექტის სათაურისა და პროექტის დაკორექტირება, სადაც ჩაემატება კულტურის სახლის ეზოს რეაბილიტაცია და სკვერის კეთილმოწყობა, რადგან შესაძლებელია, ეს თანხა გადანაწილდეს ამ სამუშაოებზე.

მომხსენებელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით უკვე არსებობს საექსპერტო დასკვნები და დროის სიმცირის გამო, ამ ეტაპზე შეუძლებელია მისი დაკორექტირება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები

მომხრე _7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025-2026 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი